განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა

დასკვნა

სსიპ - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ოლგუნ ჩიჩექი, ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია
წევრები:
შოთა ფოთოლაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ია მოსაშვილი, ა(ა)იპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
დავით ტეფნაძე, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
07/07/2026

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემია დაფუძნდა 2025 წლის 24 დეკემბერს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის გარდაქმნის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია ახლადშექმნილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, ის ეყრდნობა სახელმწიფო უწყების ფარგლებში ადრე მოქმედი სასწავლო ცენტრის გამოცდილებას და ინსტიტუციურ საფუძველს. აკადემიის ხელმძღვანელობასთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში მკაფიოდ იქნა განმარტებული და დასაბუთებული აკადემიის დაფუძნების საჭიროება და პოლიტიკის შემქმნელების მიერ აღნიშნული გარდამავალი პროცესის მხარდაჭერა. სასწავლო ცენტრის აკადემიად გარდაქმნის გარდამავალი პროცესის მხარდასაჭერად, ჩატარდა შედარებითი ანალიზი როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული ტრანსფორმაცია ეხმიანება სახელმწიფოს სტრატეგიულ ხედვას, რომ ხელი შეუწყოს უსაფრთხოების პროფესიული სწავლების განვითარებას, უმაღლესი განათლების, კვლევის და ინოვაციის ინტეგრირებული მოდელის საშუალებით.

სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის მისიაა განახორციელოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სპეციალიზებული პროფესიული პროგრამები, ასევე, კვლევითი საქმიანობა, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აკადემია მიზნად ისახავს მოამზადოს პროფესიონალები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან მაღალი ეთიკური სტანდარტებით, კრიტიკული და სტრატეგიული აზროვნებით და ეროვნული და გლობალური უსაფრთხოების გამოწვევებზე ეფექტურად რეაგირების უნარით. შესაბამისად, მისი როლი განსაზღვრულია არა მხოლოდ როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, არამედ როგორც ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ინტელექტუალური, ანალიტიკური და პროფესიული მხარდაჭერის პლატფორმა.

ეროვნული თავდაცვის კოლეჯების, უსაფრთხოების კვლევითი ინსტიტუტების და საჯარო სამსახურის სკოლების შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, აკადემია ცდილობს შეასრულოს მრავალფუნქციური როლი. აღნიშნული მოიცავს უსაფრთხოების პერსონალის მომზადებას, პოლიტიკაზე ორიენტირებული კვლევის განხორციელებას და ისეთი კომპეტენციების განვითარებას, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის ფარგლებში ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

აღნიშნული ხედვიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის მისწრაფებაა განვითარდეს როგორც განათლების, კვლევის და პრაქტიკის ინტეგრირებული ცენტრი, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მდგრადობასა და შემდგომ განვითარებაში. მოსალოდნელია, რომ აკადემია გახდება უსაფრთხოების სფეროში ცოდნის შექმნის, განვითარების და გავრცელების მნიშვნელოვანი ინსტიტუციური პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს

პროფესიული სტანდარტების და სახელმწიფოს მიმდინარე და სამომავლო უსაფრთხოების გამოწვევებზე ეფექტური რეაგირების უნარის გაძლიერებას.

ინსტიტუციური მისიის მხარდასაჭერად, აკადემიამ დაიქირავა აკადემიური ხელმძღვანელობა, მათ შორის რექტორი, ვიცე - რექტორები და დეკანი, რომლებიც ფლობენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს და შესაბამის აკადემიურ და პროფესიულ გამოცდილებას. გარდა ამისა, აკადემიის საქმიანობაში ჩართულია გამოცდილი აკადემიური პერსონალი, აღიარებული მკვლევრები და ადმინისტრაციული პერსონალის შესაბამის რაოდენობა, რაც ხელს უწყობს აკადემიის სტრატეგიული მიზნების და ინსტიტუციური მისიის მიღწევას.

აკადემია ფლობს შესაბამის ინფრასტრუქტურას, ობიექტებს და მხარდამჭერ სერვისებს როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის (აკადემიური და ადმინისტრაციული). პირველი წლის ბიუჯეტი შეადგენს 6 825 000 ლარს და დაგეგმილია მისი ზრდა წლების განმავლობაში, მიღწეული პროგრესის შესაბამისად. ასევე, აკადემიას აქვს ვებ - გვერდი, სადაც ხელმისაწვდომია საჯარო ინფორმაცია. თუმცა, შეფასების პროცესის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ვებ - გვერდი არ არის ხელმისაწვდომი საქართველოს ფარგლებს გარეთ და შესაბამისად, შეზღუდულია წვდომა საერთაშორისო დაინტერესებული მხარეებისთვის და გარე მომხმარებლებისთვის.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ფორმირების შემდგომ, ექსპერტებმა მიიღეს დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, ჩაატარა ონლაინ წინამოსამზადებელი შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო ჯგუფის წევრების გაცნობა, პირველადი მიგნებების განხილვა, დამატებითი კითხვების ან საჭირო დოკუმენტების იდენტიფიცირება და ვიზიტის დღის წესრიგის საბოლოო სახით ჩამოყალიბება.

ვიზიტის დროს, ინტერვიუების დაწყებამდე, ექსპერტებმა გაინაწილეს მოვალეობები, თავიანთი გამოცდილების და კვალიფიკაციის სფეროების შესაბამისად. ამან უზრუნველყო თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის სისტემური შესწავლა და დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ეფექტური შეფასება.

ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გულდასმით შეისწავლეს თვითშეფასების ანგარიში და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც, შეკითხვების ცხრილის (mapping grid) გამოყენებით, განსაზღვრეს ძირითადი საკითხები, კითხვები და მიგნებები. აღნიშნული გამოყენებულ იქნა ვიზიტის დროს შესაბამისი კითხვების დასმის მიზნით და დასკვნის მომზადების პროცესში, სადაც თავმჯდომარემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრზე განაწილებული სტანდარტის კომპონენტებს. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა საჯაროდ

ხელმისაწვდომი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, ვებ - გვერდი და გამოქვეყნებული დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა თავმჯდომარე, რომელმაც უზრუნველყო წევრებს შორის პასუხისმგებლობების განაწილება და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული პროცესების შეუფერხებელი და დროული განხორციელება.

დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტებმა შეისწავლეს დასკვნის პროექტის მომზადებისთვის აუცილებელი ყველა აქტუალური საკითხი. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის მეორე დღეს კი დაათვალიერა ინფრასტრუქტურა.

2 დღიანი ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების ხელმძღვანელობა და პერსონალი გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით, თანამშრომლობით და მხარდაჭერით. მათ ავტორიზაციის ექსპერტებს გაუწიეს საჭირო დახმარება და ხელი შეუწყვეს შეფასების პროცესის ეფექტურ განხორციელებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემია ახალი დაარსებულია, მანამდე არსებული სასწავლო ცენტრის გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძველზე, დაწესებულება ზოგადად შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტებთან. შეფასებების და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულება შესაბამისობაშია ავტორიზაციის პირველ, მე - 3, მე - 4, მე - 5 , მე - 6 და მე - 7 სტანდარტებთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია მე - 2 სტანდარტის მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყების შემდეგ, აკადემიამ სრულად აამოქმედოს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ მისი ფუნქციების, ანგარიშვალდებულების, გადაწყვეტილების მიღების პროცედურების და პასუხისმგებლობების პრაქტიკაში მკაფიო განხორციელებას (2.1);

2. რეკომენდებულია, აკადემიამ გააძლიეროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დანიშნოს გამოცდილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (2.2);
3. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება, სისტემური შეფასებისა და უწყვეტი განვითარების პროცესების მხარდაჭერის მიზნით. (2.2);
4. რეკომენდებულია, დაწესებულებამ მეტად განავითაროს შეფასების რუკა შეფასების ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდის ინტეგრირებით, ნათლად განსაზღვროს შეფასების ინდიკატორები, სამიზნე ნიშნულები, პასუხისმგებელი პირები და შედეგების გამოყენების მექანიზმები პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის. (3.3);
5. რეკომენდებულია, სტუდენტების მოთხოვნილი მაქსიმალური რაოდენობის (200 სტუდენტი) ეტაპობრივად ან ერთიანად მიღების პარალელურად, უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის პროპორციული ზრდა (4.1);
6. რეკომენდებულია, აკადემიამ მარეგულირებელი დოკუმენტები განათავსოს და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს აკადემიის ვებგვერდზე.(5.1);
7. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს კვლევის დაფინანსების მოცულობა, და მეტად დახვეწოს მარეგულირებელი ჩარჩო, მათ შორის „კვლევის დაფინანსებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სახელმძღვანელო პრინციპები'', რათა ნათლად განისაზღვროს ინსტიტუციური დაფინანსების მოპოვებისთვის საჭირო კონკრეტული წინაპირობები, გამჭვირვალე კრიტერიუმები და გრანტის ადმინისტრირების მექანიზმები. (6.2)

რჩევები

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები:

1. სასურველია, დაწესებულების მისიის შესახებ ინფორმაციის მეტად გავრცელება პერსონალსა და მომავალ სტუდენტებს შორის, მისიის ერთიანი ინსტიტუციური გაგებისა და ხარისხის კულტურის განვითარების მიზნით (1.1)
2. სასურველია, აკადემიამ შეაგროვოს და გააანალიზოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მისიის პრაქტიკულ განხორციელებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, პროგრამების სწავლის შედეგები, კვლევითი საქმიანობა და საზოგადოებრივი წვლილი (1.1);
3. სასურველია, მისიის და ხედვის პრაქტიკაში განხორციელების მონიტორინგის მიზნით, აკადემიამ შეიმუშაოს გაზომვადი ინდიკატორები, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყების შემდეგ (1.1);
4. სასურველია, გაძლიერდეს მისიის ოპერაციული განხორციელება იმის უზრუნველყოფით, რომ იგი სისტემატურად იქნება ასახული სტრატეგიულ დაგეგმვაში, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში, კვლევით პრიორიტეტებში, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებსა და ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში (1.2);

5. სასურველია, აკადემიამ უზრუნველყოს მისიის და ხედვის რეგულარული გადახედვა შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და უსაფრთხოების სექტორის შესაბამისი პარტნიორების მონაწილეობით (1.2);
6. სასურველია, გაგრძელდეს მუშაობა მისიის ხილვადობის და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიმართულებით, სტუდენტებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის, რაც ხელს შეუწყობს გაზიარებულ ინსტიტუციურ გაგებას და გააძლიერებს ხარისხის კულტურას (1.2);
7. სასურველია, აკადემიამ გააძლიეროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის პრაქტიკა, მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების სისტემატური დოკუმენტირებით (2.1);
8. სასურველია, აკადემიამ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გაწეროს კონკრეტული გეგმის სახით, რომელშიც მოცემული იქნება გაზომვადი ინდიკატორები, პოტენციური პარტნიორები, დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი ერთეულები, ვადები და მოსალოდნელი შედეგები (2.1);
9. სასურველია, დაინერგოს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული გაუმჯობესების ღონისძიებების დოკუმენტირების და მათი ეფექტიანობის მონიტორინგის სისტემური პრაქტიკა (2.2);
10. სასურველია, დაწესებულებამ სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის რეგულარულად ჩაატაროს ცნობიერების ამაღლების აქტივობები და ტრენინგები აკადემიური კეთილსინდისიერების, ეთიკური ქცევისა და აკადემიური თავისუფლების შესახებ (2.3);
11. სასურველია, დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით, აკადემიის ვებ - გვერდზე განთავსდეს ინფორმაცია საგანმანათლებლო საქმიანობის და პროგრამის შინაარსის შესახებ. (3.2);
12. სასურველია, გადაიხედოს სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება და ამოღებული იყოს ფინანსური ჯარიმების შესახებ ჩანაწერები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სტუდენტს სურს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა ან პირადი მიზეზებით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა. (5.1);
13. სასურველია, აკადემიაში შეიქმნას დასაქმებისა და კარიერული განვითარების სტრუქტურული ერთეული, ან შესაბამისი პასუხისმგებლობები გადანაწილდეს უკვე არსებულ ერთეულზე/პირზე. (5.2);
14. სასურველია, დაწესებულებამ გაზარდოს ინვესტიცია ელექტრონული სასწავლო რესურსების, მონაცემთა ბაზებისა და სხვა ციფრული სერვისების მიმართულებით, სასწავლო და კვლევითი საქმიანობის მეტად მხარდაჭერის მიზნით. (7.3);
15. სასურველია, აკადემიამ გააძლიეროს კავშირები სტრატეგიულ მიზნებს, შესრულების ინდიკატორებსა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესებს შორის,

რათა მხარი დაუჭიროს რესურსების მტკიცებულებაზე დაფუძნებულ გადანაწილებას. (7.4).

საუკეთესო პრაქტიკები

ვინაიდან აკადემია ახალი დაფუძნებულია და ჯერ არ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, მიმდინარე ეტაპზე ვერ იქნება საუკეთესო პრაქტიკები იდენტიფიცირებული.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	**უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4.	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	**კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐

6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ოლგუნ ჩიჩეკი (თავმჯდომარე)
2. შოთა ფოთოლაშვილი (წევრი)
3. ია მოსაშვილი (წევრი)
4. თამთა ცხოვრებაძე (წევრი)
5. დავით ტეფნაძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო დონეზე.
პროფესიული მომზადების ცენტრის გამოცდილების საფუძველზე, აკადემიამ ჩამოაყალიბა ახალი ხედვა და მისია, საერთაშორისო და ევროპული აკადემიური სტანდარტების შესაბამისად. სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის მისია ქმნის ინსტიტუციური განვითარებისთვის მკაფიო საფუძველს და განსაზღვრავს აკადემიის როლს ეროვნული და საერთაშორისო უმაღლესი განათლების და უსაფრთხოების სივრცეში. მისია შემუშავდა ავტორიზაციის პროცესისთვის შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფის მიერ, მოკლე დროში, კერძოდ, 2 თვის

განმავლობაში, თანამშრომლობითი მიდგომით, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მისია მკაფიოდ ასახავს აკადემიის სტრატეგიულ დანიშნულებას: „უსაფრთხოების სფეროში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოს უმაღლესი განათლება, კვლევა და სპეციალიზებული პროფესიული პროგრამების განხორციელება". აღნიშნული შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებს და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის პრინციპებს, კერძოდ, საზოგადოების სასარგებლოდ ცოდნის შექმნის, გავრცელებისა და გამოყენების პრინციპს.

მისიის განაცხადი ფოკუსირებულია ეთიკური ღირებულებებით, პრაქტიკული კომპეტენციებით, ლიდერობის, კრიტიკული და სტრატეგიული აზროვნების უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადებაზე. აღნიშნული შეესაბამება თანამედროვე ევროპული უმაღლესი განათლების მოლოდინებს, რომელიც ფოკუსირებულია არა მხოლოდ პროფესიულ ცოდნაზე, არამედ პიროვნულ და სამოქალაქო განვითარებაზეც. პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და თანამედროვე მეთოდოლოგიებზე ფოკუსი უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ რელევანტური ცოდნა და იყვნენ კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე.

მისია ასევე ასახავს აკადემიის განსხვავებულ, სპეციალიზებული დაწესებულების როლს, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მხარდასაჭერად აერთიანებს განათლებას, კვლევას და პრაქტიკულ გამოცდილებას. ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებთან პირდაპირი კავშირის გათვალისწინებით, აკადემიის როლი სცილდება ტრადიციული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს და წარმოდგენილია, როგორც უსაფრთხოების სფეროში ცოდნის, პროფესიული კომპეტენციებისა და გამოყენებითი კვლევის გენერირების ცენტრი.

მისიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია გლობალურ გამოწვევებზე რეაგირების ვალდებულება, ცოდნის შექმნის და გაზიარების გზით. აღნიშნული შეესაბამება ევროპის უმაღლეს განათლების სივრცეში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაგებას, რომელსაც აქტიური წვლილი შეაქვს საზოგადოებრივი და გლობალური გამოწვევების გადაწყვეტაში. აღნიშნული თვალსაზრისით, აკადემია მის როლს განსაზღვრავს როგორც უსაფრთხოების სფეროში ცოდნის განვითარების და გავრცელების პარტნიორს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

აკადემიის ხედვა ავსებს მისიის განაცხადს და გვთავაზობს ინსტიტუციური განვითარების მკაფიო, გრძელვადიან მიმართულებას. მისი მისწრაფება, გახდეს რეგიონის წამყვანი საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი უსაფრთხოების სფეროში, ასახავს საერთაშორისო ხარისხის სტანდარტების, ინოვაციური სასწავლო

მოდელების, კვლევის განვითარების და აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობის ვალდებულებას. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ ხელმძღვანელობა და გუნდი ეთანხმება და იზიარებს მისიას და იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს დასახული მიზნების მიღწევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ▪ სსიპ – სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემია: მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი; ▪ რექტორის ბრძანება / ოფიციალური აქტი მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ; ▪ აკადემიის ოფიციალური ვებ - გვერდი, სადაც საჯაროდ ხელმისაწვდომია მისია, ხედვა და ღირებულებები: www.academy.ssg.gov.ge ▪ თვითშეფასების ანგარიში, პუნქტი 1.1 "უსდ-ის მისია"; ▪ აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026 - 2033), რომელიც აჩვენებს კავშირს მისიას, სტრატეგიულ პრიორიტეტებს, ინსტიტუციურ მიზნებს, საგანმანათლებლო პროგრამებს, კვლევის მიმართულებებს და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შორის; ▪ აკადემიის სამოქმედო გეგმა (2026 - 2029), რომელიც აჩვენებს მისიასთან დაკავშირებული პრიორიტეტების განხორციელებას; ▪ პროგრამის შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ კურსდამთავრებულის პროფილის, სწავლის შედეგების, სწავლების მიდგომების და პროფესიული ორიენტაციის მისიასთან შესაბამისობას; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მისია გამოიყენება როგორც ინსტიტუციური დაგეგმვის, მონიტორინგის და უწყვეტი გაუმჯობესების სამიზნე ნიშნული; ▪ რექტორთან და აკადემიის ხელმძღვანელობასთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები, რომლებიც ადასტურებენ მისიის სტრატეგიულ დანიშნულებას და აკადემიის როლს ეროვნული უსაფრთხოების და უმაღლესი განათლების სისტემაში; ▪ საკოორდინაციო ჯგუფთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ავტორიზაციისათვის მომზადების პერიოდში მისია შემუშავდა მონაწილეობითი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცესის ფარგლებში; ▪ აკადემიურ, ადმინისტრაციულ და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები, რომლებიც ადასტურებენ მისიის შესახებ ინფორმაციის ფლობას და მის აქტუალობას ინსტიტუციური განვითარებისთვის; ▪ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული დაკვირვებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მისია ასახულია ინსტიტუციურ დაგეგმვაში, მმართველობით მოწყობაში და აკადემიის მიერ დაგეგმილ აკადემიურ, კვლევით და პროფესიულ საქმიანობაში.

რეკომენდაციები:

რჩევები:

1. სასურველია, დაწესებულების მისიის შესახებ ინფორმაციის მეტად გავრცელება პერსონალსა და მომავალ სტუდენტებს შორის, მისიის ერთიანი ინსტიტუციური გაგებისა და ხარისხის კულტურის განვითარების მიზნით.
2. სასურველია, აკადემიამ შეაგროვოს და გააანალიზოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მისიის პრაქტიკულ განხორციელებას, მათ შორის, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, პროგრამების სწავლის შედეგები, კვლევითი საქმიანობა და საზოგადოებრივი წვლილი.
3. სასურველია, მისიის და ხედვის პრაქტიკაში განხორციელების მონიტორინგის მიზნით, შემუშავდეს გაზომვადი ინდიკატორები, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყების შემდეგ.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ - ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ - ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026 - 2033) და სამწლიანი სამოქმედო გეგმა

(2026 - 2029). ორგანიზაციული სტრუქტურა და პოზიციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, აკადემიური და არააკადემიური ერთეულები დაკომპლექტებულია გამოცდილი პერსონალით. პერსონალის დაქირავება და სხვა პროცესები განხორციელდა სახელმწიფოს და სამინისტროს ოფიციალური რეგულაციების შესაბამისად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. აკადემიაში ფუნქციონირებს შიდა აუდიტის ერთეული და განსაზღვრულია შესაბამისი მექანიზმები.

სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის მისია ქმნის ინსტიტუციური განვითარების მკაფიო საფუძველს და განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ უმაღლესი განათლების სივრცეში და უსაფრთხოების სისტემაში. მისია შემუშავებულია ავტორიზაციის პროცესისთვის შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფის მიერ, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომით, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მისია მკაფიოდ ასახავს აკადემიის სტრატეგიულ დანიშნულებას - უსაფრთხოების სფეროში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოს უმაღლესი განათლება, კვლევა და განახორციელოს სპეციალიზებული პროფესიული პროგრამები. მისიის განაცხადი შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებს და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის პრინციპებს ცოდნის შექმნის, პროფესიული განვითარების და საზოგადოებრივი წვლილის თვალსაზრისით.

აკადემია აქცენტს აკეთებს მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადებაზე, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან ეთიკური ღირებულებებით, ლიდერული უნარებით და პრაქტიკული კომპეტენციებით. პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე და თანამედროვე მეთოდოლოგიებზე ფოკუსი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების და კურსდამთავრებულების აქტუალობას და კონკურენტუნარიანობას. პასუხისმგებლიანი აკადემიური საქმიანობის სტრატეგიული განვითარების უზრუნვეყოფის მიზნით, აკადემიაში დანერგილია ეთიკის კოდექსი და აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა.

მისიის განაცხადი ასევე ასახავს აკადემიის სპეციფიკურ პროფილს, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მხარდაჭერის მიზნით აერთიანებს განათლებას, კვლევას და პრაქტიკულ კომპეტენციებს. აღნიშნული ადასტურებს მის განსხვავებულ როლს ტრადიციულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებს შორის და ადასტურებს მის შესაბამისობას ეროვნულ სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

ხედვა ავსებს მისიას და განსაზღვრავს აკადემიის გრძელვადიან ამბიციას გახდეს წამყვანი რეგიონული საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი უსაფრთხოების სფეროში. აღნიშნული მიმართულება შეესაბამება ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს, სწავლების ინოვაციას, კვლევის განვითარებას და საერთაშორისო თანამშრომლობას.

შეფასების პროცესში არ გამოვლენილა შესაბამისობასთან დაკავშირებული პრობლემები. შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, აკადემიამ უნდა შეიმუშაოს გაზომვადი ინდიკატორები, რაც ხელს შეუწყობს მისიის და ხედვის განხორციელებას და მათი გავლენის მონიტორინგს. თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტების და ვიზიტის ფარგლებში მიღებული მტკიცებულებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აკადემია შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ▪ სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026-2033); ▪ აკადემიის ოფიციალური ვებ - გვერდი, სადაც საჯაროდ ხელმისაწვდომია მისია, ხედვა და ღირებულებები: www.academy.ssg.gov.ge; ▪ სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის თვითშეფასების ანგარიში, კერძოდ, კომპონენტი 1.1. - "უსდ - ის მისია"; ▪ მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, მისიის შემუშავებას მონაწილეობითი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცესის ფარგლებში, ავტორიზაციის პროცესისთვის შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფის მიერ; ▪ რექტორთან / აკადემიის ხელმძღვანელობასთან ჩატარებული ინტერვიუები, რომლებიც ადასტურებენ აკადემიის სტრატეგიულ დანიშნულებას, ინსტიტუციურ პროფილს და როლს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში და უმაღლესი განათლების სივრცეში; ▪ საკოორდინაციო ჯგუფის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუები, რომლებიც ადასტურებენ მისიის შემუშავების, დამტკიცების და გავრცელების პროცესს; ▪ აკადემიურ, ადმინისტრაციულ და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები, რომლებიც ადასტურებენ მისიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და ინსტიტუციური განვითარებასთან შესაბამისობას; ▪ ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მისია ასახულია აკადემიის ინსტიტუციურ დაგეგმვაში, მმართველობით მიდგომასა და აკადემიურ საქმიანობაში.
რეკომენდაციები
რჩევები: საქმიანობის დაწყებისთანავე, განვითარების მიზნით, აკადემიამ უნდა განახორციელოს შემდეგი: ▪ სასურველია, გაძლიერდეს მისიის ოპერაციული განხორციელება იმის უზრუნველყოფით, რომ იგი სისტემატურად იქნება ასახული სტრატეგიულ

დაგეგმვაში, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში, კვლევით პრიორიტეტებში, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებსა და ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. ▪ სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს მისიის და ხედვის რეგულარული გადახედვა შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და უსაფრთხოების სექტორის შესაბამისი პარტნიორების მონაწილეობით. ▪ სასურველია, აკადემიამ გააგრძელოს მუშაობა მისიის ხილვადობის და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიმართულებით, სტუდენტებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის, რაც ხელს შეუწყობს გაზიარებულ ინსტიტუციურ გაგებას და გააძლიერებს ხარისხის კულტურას.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
• უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ - ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. • უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. • უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ - ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.

• უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
აკადემიას აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მხარს უჭერს მისიის, სტრატეგიული მიზნების და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია ფორმალურად და გადანაწილებულია შიდა რეგულაციების მეშვეობით. ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს მართვის ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან აკადემიური, ადმინისტრაციული და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მმართველ პოზიციებზე დანიშვნის მარეგულირებელი პროცედურები და რეგულაციები, რომლებიც უკავშირდება დოკუმენტბრუნვას, ინსტიტუციურ მმართველობას და ბიზნესპროცესების უწყვეტობის დაგეგმვას. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ აკადემიის წარმომადგენლები ფლობენ ინფორმაციას თავიანთი როლების და პასუხისმგებლობების შესახებ და აქტიურად მონაწილეობენ ინსტიტუციური პროცესების ჩამოყალიბებაში. აკადემიას ასევე შემუშავებული აქვს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა, რომლის მიზანია პოტენციური ოპერაციული რისკების მართვა. მეტიც, დაწესებულება მუშაობს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ავითარებს თანამშრომლობით ინიციატივებს და გეგმავს საერთაშორისო აქტივობებს, ინსტიტუციური მიზნების შესაბამისად. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აკადემია უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების საწყის ეტაპზეა, სრულად ვერ დასტურდება მართვის მექანიზმების და მონიტორინგის სისტემების პრაქტიკული განხორციელების ეფექტიანობა. ვიზიტის დროს, ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში, წარმოდგენილი იყო შეზღუდული რაოდენობის მტკიცებულებები - საქმიანობის მონიტორინგის ინდიკატორების ან სისტემატური შეფასების შედეგების საფუძველზე, მმართველობითი გადაწყვეტილებების მაგალითების შესახებ. შესაბამისად, სამომავლოდ, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში უნდა გადამოწმდეს რისკების მართვის პროცედურების და მმართველობითი მექანიზმების ეფექტიანობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; ▪ სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამართლებრივ სტატუსს, მმართველობის სტრუქტურას, პასუხისმგებლობებს, მართვის ორგანოებს და ინსტიტუციურ ფუნქციებს; ▪ აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა;

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026 - 2033);
- სამოქმედო გეგმა (2026 -2029);
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების ინსტრუმენტები;
- ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა;
- ინსტიტუციური მართვის, დოკუმენტბრუნვის და ადმინისტრაციული პროცედურების მარეგულირებელი შიდა რეგულაციები;
- რექტორთან, ვიცე - რექტორებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყების შემდეგ, აკადემიამ სრულად აამოქმედოს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ მისი ფუნქციების, ანგარიშვალდებულების, გადაწყვეტილების მიღების პროცედურების და პასუხისმგებლობების პრაქტიკაში მკაფიო განხორციელებას.

რჩევები:

- სასურველია, აკადემიამ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გაწეროს კონკრეტული გეგმის სახით, სადაც მოცემული იქნება გაზომვადი ინდიკატორები, პოტენციური პარტნიორები, დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი ერთეულები, ვადები და მოსალოდნელი შედეგები.
- სასურველია, აკადემიამ გააძლიეროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის პრაქტიკა, მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების სისტემატური დოკუმენტირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის

უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.

- უსდ - ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

აკადემიამ შეიმუშავა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო, რომელიც მოიცავს პოლიტიკებს, პროცედურებს, შეფასების მექანიზმებს და ინსტიტუციურ მოწყობას, რაც ხელს უწყობს ხარისხის მართვას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს და ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპებს.

დაწესებულებამ დამტკიცებული აქვს პროგრამების და პერსონალის შეფასების, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის, ინსტიტუციური საქმიანობის მონიტორინგის და ინსტიტუციური რესურსების შეფასების პროცედურები. ხარისხის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობები ინტეგრირებულია ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ხოლო შესაბამისი პოლიტიკები და პროცედურები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების განხორციელების საჭირო მარეგულირებელი საფუძველი. დაწესებულების წარმომადგენლები იცნობენ ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს, მათ აღწერეს მექანიზმები, რომელთა მიზანია შეფასების და უწყვეტი გაუმჯობესების აქტივობების მხარდაჭერა.

თუმცა, აკადემიას ჯერ არ აქვს საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება, რომ აჩვენოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა. შესაბამისად, შეზღუდულია მტკიცებულებები გადაწყვეტილებების მიღების, პროგრამების, რესურსების გაუმჯობესების და ინსტიტუციური განვითარების მიზნით, შეფასების შედეგების სისტემატური გამოყენების შესახებ. ანალოგიურად, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგთან, პროგრამების შეფასებასთან, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ანალიზთან და სერვისების ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებული მექანიზმები ჯერ არ განხორციელებულა პრაქტიკაში. გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამჟამად განვითარების პროცესშია. აკადემიამ სულ ცოტა ხნის წინ დაიქირავა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიცია ჯერ ისევ ვაკანტურია. შესაბამისად, საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ადამიანური რესურსებისა და პროფესიული შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტიანი განხორციელების და დაწესებულებაში ხარისხის მდგრადი კულტურის განვითარების მიზნით.

დაწესებულებამ შეიმუშავა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ინსტიტუციურ რესურსებს და დაგეგმილ აქტივობებს. თუმცა, აღნიშნული მეთოდოლოგიის და მასთან დაკავშირებული ხარისხის

უზრუნველყოფის პროცესების ეფექტიანობის დადასტურება მოითხოვს მათ განხორციელებას და პერიოდულ შეფასებას. საერთო ჯამში, დაწესებულებაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო, თუმცა, საჭიროა სისტემური შეფასების პროცესების გაძლიერება და ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების ინსტიტუციური განვითარების მიზნით გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ▪ სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები; ▪ სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026-2033); ▪ სამოქმედო გეგმა (2026 -2029); ▪ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების ინსტრუმენტები; ▪ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებლობების და ხარისხის მართვის პროცესების რეგულაციები; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები; ▪ ვიზიტის დროს გამოვლენილი მიგნებები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, აკადემიამ გააძლიეროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დანიშნოს გამოცდილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. • რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება, სისტემური შეფასებისა და უწყვეტი განვითარების პროცესების მხარდაჭერის მიზნით.
რჩევები: • სასურველია, დაინერგოს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული გაუმჯობესების ღონისძიებების დოკუმენტირების და მათი ეფექტიანობის მონიტორინგის სისტემური პრაქტიკა.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

აკადემიაში შემუშავებულია მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც მხარს უჭერს ეთიკურ ქცევას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას და აკადემიურ თავისუფლებას. დამტკიცებულია და საჯაროდ ხელმისაწვდომია შესაბამისი რეგულაციები, მათ შორის ეთიკის კოდექსი, აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა და დარღვევებზე რეაგირების პროცედურები.

დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს პლაგიატის პრევენციის და გამოვლენის მექანიზმების და პროცედურები და დაგეგმილია პლაგიატის გამოვლენის პროგრამული უზრუნველყოფის და მასთან დაკავშირებული რეაგირების პროცედურების გამოყენება. ვიზიტის დროს, დაწესებულების წარმომადგენლებმა ისაუბრეს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე და აღწერეს მექანიზმები, რომლებიც გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთანავე.

აკადემიური თავისუფლების პრინციპები ასახულია აკადემიის შინაგანაწესში და მმართველობის ჩარჩოში. ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს კარგად აქვთ გააზრებული უმაღლეს განათლებაში აკადემიური თავისუფლების, ეთიკური ქცევის და კეთილსინდისიერების მნიშვნელობა.

ვინაიდან აკადემია ჯერ არ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, შეუძლებელი იყო აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელების ეფექტიანობის გადამოწმება. შესაბამისად, ვიზიტის დროს არ იყო ხელმისაწვდომი მტკიცებულებები დისციპლინური პროცედურების გამოყენებასთან, აკადემიური გადაცდომების განხილვასთან, პლაგიატის პრევენციის ზომების განხორციელებასთან და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული მექანიზმების ეფექტიანობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აკადემიამ შემუშავებული აქვს ეთიკური ქცევის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის და აკადემიური თავისუფლების მხარდაჭერის შესაბამისი რეგულაციები და პროცედურები, რაც ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შესაბამის საფუძველს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის ეთიკის კოდექსი; • აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა (პლაგიატის პრევენციის და რეაგირების პროცედურები); • აკადემიის შინაგანაწესი; • დისციპლინური პასუხისმგებლობის და ეთიკური ქცევის რეგულაციები და პროცედურები; • რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია; • ინფორმაცია პლაგიატის გამოვლენის პროგრამული უზრუნველყოფის და პლაგიატის ზღვრების შესახებ.
რეკომენდაციები: -
რჩევები: სასურველია, დაწესებულებამ სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის რეგულარულად ჩაატაროს ცნობიერების ამაღლების აქტივობები და ტრენინგები აკადემიური კეთილსინდისიერების, ეთიკური ქცევისა და აკადემიური თავისუფლების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ვინაიდან აკადემია ახლადდაფუძნებულია და ჯერ არ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, ამჟამად, საუკეთესო პრაქტიკები იდენტიფიცირებული ვერ იქნება.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსიპ - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების განხორციელების და გაუქმების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის თანახმად, დაწესებულება განახორციელებს მხოლოდ მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, აკადემიის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. ამჟამად, აკადემია ახორციელებს ერთ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, სახელმწიფო უსაფრთხოების მიმართულებით. მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარდა, პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ სხვა დაინტერესებული მხარეებიც (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები და სხვ.). პროგრამის დაგეგმვის, ცვლილებების განხორციელების, შემუშავების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულება ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დამსაქმებელთა უკუკავშირს, კმაყოფილების კვლევების შედეგებს, სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასების შედეგებს, ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამების შედარებით ანალიზს. ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ პროგრამის შემუშავება უწყვეტი და მონაწილეობითი პროცესია. სახელმწიფო უსაფრთხოების პროგრამით დაინტერესებული მხარეები ფლობენ ინფორმაციას და აცნობიერებენ პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებს და მხარს უჭერენ პროგრამის განხორციელებას და მის უწყვეტ გაუმჯობესებას. თვითშეფასების ანგარიშის და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის და მექანიზმების დოკუმენტების თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების ანონიმურ გამოკითხვებს, კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევებს და აგროვებს დამსაქმებელთა უკუკავშირს. შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აყალიბებს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების და განვითარების რეკომენდაციებს. უკუკავშირის მექანიზმები კარგად არის სტრუქტურირებული, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების

მოსაზრებების სისტემატურ შეგროვებას, ანალიზს და გამოყენებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე პერიოდულად ამზადებს ანგარიშებს კვლევის შედეგების და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ და უზრუნველყოფს მათ გავრცელებას. აღნიშნული პრაქტიკა დადასტურდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე, დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში, სადაც აღინიშნა არსებული უკუკავშირის და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში მათი ჩართულობის მნიშვნელობა.

პროგრამის ინიცირება შეუძლია აკადემიის რექტორს, ობიექტურად შეფასებული სახელმწიფო საჭიროებების საფუძველზე, რომლებიც განისაზღვრება სახელმწიფოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის სტრატეგიული მიზნებით ან სხვა შესაბამისი გარემოებებით. პროგრამის განვითარების საწყის ეტაპზე სახელმწიფო უსაფრთხოების ფაკულტეტი, შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, შეიმუშავებს პროგრამის კონცეფციას და განსახილველად წარუდგენს აკადემიის რექტორს. აკრედიტაციის მოთხოვნებთან და სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შიდა შეფასების შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს აკადემიური საბჭო. აკადემიური საბჭოს განხილვის შემდეგ, საბოლოო დამტკიცების მიზნით, პროგრამა წარედგინება აკადემიის რექტორს. პროგრამის დოკუმენტაცია მოიცავს ინფორმაციას შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკის, შრომის ბაზრის მოთხოვნების, ტენდენციების, ხელმისაწვდომი ადამიანური რესურსების, წინასწარი ფინანსური დაგეგმვის და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა დამხმარე მასალების შესახებ.

დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი განახლებისა და განვითარების ვალდებულება, ცვალებად აკადემიურ, პროფესიულ და უსაფრთხოების გარემოსთან პროგრამის შესაბამისობისა და აქტუალობის უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამის შემუშავების და გადახედვის პროცესები ითვალისწინებს არსებულ ტენდენციებს, დამსაქმებლების ცვალებად საჭიროებებს და დარგის სპეციფიკურ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, დამსაქმებლების უშუალო ჩართულობა, ვალდებულება და პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში შეტანილი წვლილი. პროგრამაში ინტეგრირებულია პრაქტიკული სწავლის შესაძლებლობები, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს პრაქტიკულ გარემოში გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა. გარდა ამისა, დამსაქმებლების უშუალო ჩართულობა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების დასაქმებას და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას.

დაწესებულებას ასევე დაგეგმილი აქვს სისტემატურად განახორციელოს შედარებითი ანალიზი, საერთაშორისო პროგრამებისა და საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, რომ გამოავლინოს გაუმჯობესების შესაძლებლობები და უზრუნველყოს თანხვედრა საერთაშორისოდ აღიარებულ მიდგომებთან. გარდა ამისა, პროგრამა ფასდება მოქმედი დარგობრივი მახასიათებლების, კვალიფიკაციის მოთხოვნების და პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს

სასწავლო გეგმის შინაარსის, სწავლის შედეგებისა და კურსდამთავრებულების კომპეტენციების უწყვეტ გაუმჯობესებას. არსებული პროგრამის განვითარების და მასში ცვლილების განხორციელების საჭიროება განისაზღვრება შეფასების, მონიტორინგის ან ინსტიტუციური საჭიროებების საფუძველზე და მისი განხორციელება ევალება სახელმწიფო უსაფრთხოების ფაკულტეტს. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საკითხი განიხილება იმ შემთხვევებში, თუ პროგრამა არაეფექტურია, კარგავს აქტუალობას, არ შეესაბამება ინსტიტუციურ სტრატეგიულ მიზნებს, დადგენილ მოთხოვნებს ან სხვა დასაბუთებულ გარემოებებს. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების კანონიერი და აკადემიური ინტერესების დაცვას, განსაზღვრავს შესაბამის გარდამავალ მექანიზმებს და ჩარიცხულ სტუდენტებს, დადგენილი პროცედურების შესაბამისად, აძლევს სწავლის დასრულების შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების, დამტკიცების, ცვლილებების განხორციელების და გაუქმების მეთოდოლოგია; • ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები; • ანალოგიურ საერთაშორისო პროგრამებთან შედარებითი ანალიზი; • სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად.
რჩევები: –
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): –
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის შემუშავებისას, აკადემია ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობას და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის პრინციპებს (ECTS). საგანმანათლებლო პროცესის დებულება აწესრიგებს კრედიტების გაანგარიშებასთან დაკავშირებულ ასპექტებს, სტუდენტების მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებს, მოიცავს ინფორმაციას სწავლება - სწავლის მეთოდების, სტუდენტების მიღწევების შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ასევე, სტუდენტების უფლება - მოვალეობებს და საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. აკადემია სტუდენტებს სთავაზობს აკადემიური განვითარების შესაძლებლობებს როგორც ცოდნის გაღრმავების, ისე სერვისების მიღების ხელშეწყობის თვალსაზრისით. დაწესებულებამ შეიმუშავა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია პრინციპები, პროცედურები და შესაძლებლობები ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისთვის, სტუდენტების აკადემიური საჭიროებებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

დაწესებულება გეგმავს განახორციელოს მხოლოდ ერთი 60 კრედიტიანი სახელმწიფო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა. პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სწავლის შედეგები ეფუძნება დარგობრივ მახასიათებლებს და შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტები; სწავლება - სწავლის მეთოდები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა სრულად შეესაბამება სახელმწიფო უსაფრთხოების დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სამაგისტრო პროგრამაზე

ჩარიცხვის წინაპირობები, სწავლების, სწავლის და შეფასების მეთოდები თანხვედრაშია დარგობრივ მახასიათებელთან.

თვითშეფასების ანგარიშის და საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტის თანახმად, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს ყველა შემადგენელი კომპონენტის ლოგიკურ კავშირს და საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტის მიერ გონივრულ ვადაში სწავლის შედეგების მიღწევას. სახელმწიფო უსაფრთხოების ფაკულტეტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე ითვალისწინებს დადგენილ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელს.

პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მოარგონ სასწავლო გეგმა თავიანთ კონკრეტულ ინტერესებს და საჭიროებებს. პროგრამის კომპონენტების მოცულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და უზერუნველყოფს შინაარსის და სწავლის შედეგების ლოგიკურ კავშირს. დაწესებულებაში გამოყენებული სწავლება - სწავლის მეთოდები უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, პროექტზე დაფუძნებულ დავალებებს, სიმულაციებს, კვლევით და ანალიტიკურ სასწავლო აქტივობებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს პრაქტიკაში განახორციელონ შეძენილი თეორიული ცოდნა. შესაბამისად, პროგრამა, ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობების მეშვეობით, ხელს უწყობს დამოუკიდებელი კვლევის, კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური მსჯელობის და კვლევითი უნარების განვითარებას.

ვიზიტის დროს საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი ხელმისაწვდომი არ იყო დაწესებულების ვებგვერდზე, ვინაიდან პროგრამა გადის აკრედიტაციის პროცესს. სასურველია, აკადემიამ საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი ხელმისაწვდომი გახადოს დაწესებულების ვებ - გვერდზე, საგანმანათლებლო საქმიანობის და პროგრამის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების, დამტკიცების, ცვლილებების განცორხიელების და გაუქმების მეთოდოლოგია;
- სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები;
- სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად.

რჩევები:

- სასურველია, დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით, აკადემიის ვებ - გვერდზე განთავსდეს ინფორმაცია საგანმანათლებლო საქმიანობის და პროგრამის შინაარსის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების გამჭვირვალე სისტემა: 100-ქულიანი შკალა, რომელიც მოიცავს შეფასების ორ ფორმას: შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასება ხორციელდება შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე და განსაზღვრავს მიღწეული სწავლის შედეგების დონეს. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს საბოლოო შეფასებაში კონკრეტული წილი აქვს მინიჭებული. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების ჯამს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ფორმატსა და მეთოდებს. შეფასების სისტემა შესაძლებელს ხდის სტუდენტების მიღწევების იდენტიფიცირებას. ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი სილაბუსების თანახმად, შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესები აღწერილია და შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშებისა და სტუდენტთა შეფასების სისტემის წესთან.

ავტორიზაციის ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ დაწესებულება სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებისთვის იყენებს გამჭვირვალე და ნათლად განსაზღვრულ კრიტერიუმებს. პროგრამის განმახორციელებელი გუნდი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას

შეფასების სისტემის, არსებული მოთხოვნებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ. სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ძირითადი ელემენტები ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, რაც სტუდენტებს ნათელ წარმოდგენას უქმნის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, პროგრამის განმახორციელებელმა გუნდმა აჩვენა, რომ იაზრებენ პროგრამის სისტემატური შეფასებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგის მნიშვნელობას. პროგრამის განხორციელების შემდგომ, დაწესებულება გეგმავს კონსულტაციების ჩატარებას პროგრამის მიზნებისა და ამოცანების მიღწევასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, აკადემია სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის აკადემიურ ხელმძღვანელობას, მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების კომბინაციით. დაწესებულება აგროვებს და აანალიზებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემებს და შედეგებს ადარებს წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს. თუმცა, სწავლის შედეგების შეფასების წარმოდგენილი რუკა სრულად არ არის შემუშავებული, ვინაიდან ამ ეტაპზე სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად შეფასების პირდაპირ კომპონენტად მხოლოდ სამაგისტრო პროექტია განსაზღვრული. სამიზნე ნიშნულის თანახმად, მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულთა 75% პროექტის დაცვაში 70 ქულაზე მაღალ შეფასებას მიიღებს. დაწესებულება ასევე იყენებს შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს, მათ შორის, სტუდენტთა თვითშეფასებას, ფოკუს-ჯგუფებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთა გამოკითხვებს. თუმცა, აღნიშნული მეთოდები სწავლის შედეგების შეფასების მოქმედ რუკაში ასახული არ არის, რაც ამცირებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტურად აღწერილი ზღუდავს პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. რეკომენდებულია, დაწესებულებამ მეტად განავითაროს შეფასების რუკა შეფასების ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდის ინტეგრირებით, ნათლად განსაზღვროს შეფასების ინდიკატორები, სამიზნე ნიშნულები, პასუხისმგებელი პირები და შედეგების გამოყენების მექანიზმები პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების მეთოდოლოგია;
- სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები
- სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ მეტად განავითაროს შეფასების რუკა შეფასების ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდის ინტეგრირებით,

ნათლად განსაზღვროს შეფასების ინდიკატორები, სამიზნე ნიშნულები, პასუხისმგებელი პირები და შედეგების გამოყენების მექანიზმები პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.
რჩევები: –
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): –
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
• უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. • უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
წარმოდგენილი მონაცემებისა და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დაწესებულებას ამჟამად ჰყავს 4 აკადემიური პერსონალი: 2 პროფესორი, 1

ასოცირებული და 1 ასისტენტ-პროფესორი, რომელთაგანაც სამს დაწესებულებასთან უკვე გაფორმებული აქვს აფილირების ხელშეკრულება. საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, დამატებით მოწვეულია 9 სპეციალისტი. უსდ-ში დასაქმებული პერსონალის საერთო რაოდენობა 65-ს შეადგენს, საიდანაც ყველაზე დიდი წილი - 53 საშტატო ერთეული, ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე მოდის.

რესურსების საკმარისობის თვალსაზრისით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის არსებული რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაგეგმილი 50 სტუდენტის მიღებასა და სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხით განხორციელებას. თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, თუ დაწესებულება მომავალში სტუდენტთა მაქსიმალურ მოთხოვნილ კონტინგენტს, 200 სტუდენტს, სრულად მიიღებს, ინსტიტუციური მდგრადობისა და სწავლების ხარისხის შესანარჩუნებლად აუცილებელი იქნება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროპორციული ზრდა.

ინსტიტუციური სპეციფიკა და პერსონალის მართვის პოლიტიკა

დაწესებულების განსაკუთრებული სახელმწიფო სტატუსიდან გამომდინარე, (რამეთუ იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორში ფუნქციონირებს), არსებობს გარკვეული ობიექტური შეზღუდვები. კერძოდ, პერსონალის გარკვეული ნაწილის შესახებ ინფორმაციაზე წვდომა რეგულირდება, ხოლო თანამშრომელთა მიღება არ ექვემდებარება ღია კონკურსის სტანდარტულ პროცედურებს.

აღნიშნული სპეციფიკისა და შეზღუდვების მიუხედავად, პერსონალის მართვის მიმართულებით, დაწესებულების მუშაობა დადებითად უნდა შეფასდეს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, ასევე, აფილირების დეტალური წესები. პერსონალის მართვის სტრატეგია ყოვლისმომცველია და მოიცავს როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებაზე მიმართულ აქტივობებს. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების სპეციფიური სტატუსი გარკვეულწილად ზღუდავს პერსონალის ფართო ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუები და ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს მათი ინფორმირებულობის მაღალ დონეს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა შრომის ანაზღაურება და წახალისების მექანიზმები.

შიდა ინტეგრაცია და მარეგულირებელი ჩარჩო

დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად უწყობენ ხელს თანამშრომელთა შიდა ინტეგრაციას. დაწესებულების მარეგულირებელი ჩარჩო კარგად არის ორგანიზებული: დამტკიცებულია აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი, ხოლო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები დეტალურად არის გაწერილი. აღნიშნული დოკუმენტაცია ცნობილია და

ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის, რაც ხელს უწყობს შიდა ანგარიშვალდებულების გაძლიერებას.

შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით, როგორიცაა გამოკითხვები და კვლევები, დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მათი განხორციელების საჭიროება და შემუშავებული აქვს შესაბამისი გეგმა. თუმცა, ვინაიდან დაწესებულება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით ფუნქციონირებას ამჟამად იწყებს, ამ ეტაპზე, შეუძლებელია აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელების ეფექტურობის შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2033;
- საგანმანათლებლო პროგრამის რესურსების დაგეგმვის მეთოდოლოგია
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- აფილირების წესი
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერები
- აკადემიური პერსონალის აკადემიური აქტივობების შეფასების წესი
- პერსონალის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა (2026-2029)
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სტუდენტების მოთხოვნილი მაქსიმალური რაოდენობის (200 სტუდენტი) ეტაპობრივად ან ერთიანად მიღების პარალელურად, უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის პროპორციული ზრდა.

რჩევები:

–

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა აჩვენებს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ძირითადად ფარავს სტანდარტის ამ კომპონენტით გათვალისწინებულ ყველა მიმართულებას. პერსონალის მართვისა და დატვირთვის მექანიზმები ინსტიტუციურ დონეზე ეფექტიანად არის დანერგილი და გამყარებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი ჩარჩოთი. კერძოდ, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ისეთი ფუნდამენტური დოკუმენტები, როგორიცაა: • **აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის სქემა (წესი):** აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის ფორმირებას, სადაც სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი და სხვა სახის ფუნქციები და მოვალეობები პროპორციულად და ნათლად არის გამიჯნული და განსაზღვრული. • **სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია:** აღნიშნული დოკუმენტი, პროგრამის სპეციფიკისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ლოგიკურ და გაზომვად კავშირს ადგენს სტუდენტთა არსებულ/სამომავლო რაოდენობასა და აკადემიური, სამეცნიერო ან მოწვეული პერსონალის საჭირო კონტინგენტს შორის. • **აფილირების წესი:** დაწესებულებას სისტემურად აქვს მოწესრიგებული პერსონალის აფილირების საკითხი და საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურად მართვისა და გაუმჯობესების მიზნით, განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მარეგულირებელი აქტები ადასტურებს დაწესებულების სათანადო ინსტიტუციურ შესაბამისობას სტანდარტის მოთხოვნებთან, აუცილებელია, ხაზგასმით აღინიშნოს დაწესებულების განსაკუთრებული სტატუსი (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აკადემია). უწყებაში მოქმედი უსაფრთხოების მკაცრი რეჟიმისა და ობიექტური საოპერაციო სპეციფიკის გათვალისწინებით, გარკვეულ შიდა მონაცემებსა და პროცესებზე წვდომა რეგულირებული და შეზღუდულია. შესაბამისად, ამ კომპონენტის ფარგლებში, შეფასება, ფაქტობრივი ანალიზი და სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდა იმ ინფორმაციის, დოკუმენტაციის (მაგალითად. კონკრეტული პერსონალის მონაცემები, შიდა ბრძანებები), და მტკიცებულებების ფარგლებში, რომლებიც ამ სპეციფიური შეზღუდვებიდან გამომდინარე ღია და ხელმისაწვდომი იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2033; • საგანმანათლებლო პროგრამის რესურსების დაგეგმვის მეთოდოლოგია • პერსონალის მართვის პოლიტიკა; • საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერები • აკადემიური პერსონალის აკადემიური აქტივობების შეფასების წესი • სასწავლო დატვირთვისა და მისი განხორციელების წესი • პერსონალის განვითარების სტრატეგია • 2026-2029 წლების სამოქმედო გეგმა • ინტერვიუები
რეკომენდაციები: –
რჩევები: –
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): –.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
• უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. • უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიას ნათლად აქვს განსაზღვრული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და წინარე განათლების აღიარების წესები („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“). აღნიშნული რეგულაცია აკადემიის ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს დოკუმენტის გაცნობის შესაძლებლობა ჰქონდა. სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და თავად საგანმანათლებლო პროგრამა, სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრავს როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდას, ისე აკადემიის მიერ დადგენილი დამატებითი შიდა გამოცდის ჩაბარებას. გასაუბრების დროს, ადმინისტრაციამ აღწერა აკადემიაში სტუდენტთა ჩარიცხვის შემდგომი პროცესი. სტუდენტსა და აკადემიას შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, პირველი ნაბიჯია სტუდენტების რეგისტრაცია LMS-ში (INI.GE). ეს არის ელექტრონული სწავლების პორტალი, რომელსაც აკადემია ''აუთსორსინგის'' საფუძველზე იყენებს. პირველი კვირის განმავლობაში, სტუდენტებს ჩაუტარდებათ ტრენინგი ელექტრონული პორტალის გამოყენების შესახებ; ისინი გაეცნობიან პერსონალს, შეფასების სისტემასა და საუნივერსიტეტო რეგულაციებს. პორტალის მეშვეობით, სტუდენტები დარეგისტრირდებიან სასწავლო კურსებზე, მონაწილეობას მიიღებენ გამოკითხვებში, შეამოწმებენ საკუთარ შეფასებებს, დაუკავშირდებიან ადმინისტრაციის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს და ინფორმაციას მიიღებენ აკადემიისგან. სტუდენტებსა და აკადემიას შორის ურთიერთობა ფორმალიზებულია ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, ასევე, სხვა სამართლებრივ პირობებს. ხელშეკრულება ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს და იცავს სტუდენტთა ინტერესებსაც, თუმცა, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ ჯარიმებს იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გამოიყენებს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

მობილობის უფლებას ან საკუთარი გადაწყვეტილებით, შეიწყვეტს სტუდენტის სტატუსს. ჩარიცხვისას, აკადემია სტუდენტებს სთავაზობს მოქნილ გრაფიკს, რაც მათ საშუალებას აძლევს, საკუთარი სასწავლო პროცესი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე დაგეგმონ. სტუდენტებთან ურთიერთობის ცენტრალური სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტურ სერვისებს. აღნიშნული სამსახური სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას შეფასებებისა და აკადემიური განრიგის შესახებ, კომუნიკაციას აწარმოებს პერსონალთან სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე (სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა ან აღდგენა) და უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების საორგანიზაციო მხარდაჭერას. გარდა ამისა, სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელებთან კოორდინირებით, სტუდენტებს ტექნიკურ დახმარებას უწევს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში. სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიას დანერგილი აქვს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, გამჭვირვალე და ობიექტურ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პროცესებს. სტუდენტებს უფლება აქვთ, საგანმანათლებლო პროცესთან, შეფასებასთან, სტუდენტურ სერვისებთან, ადმინისტრაციულ საკითხებთან ან სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე დაწესებულებას მიმართონ განცხადებით ან ადმინისტრაციული საჩივრით. აღნიშნულ მიმართვებს განიხილავენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, უფლებამოსილი ადმინისტრაციული თანამდებობის პირები ან/და სპეციალურად შექმნილი კომისიები. აკადემიას ოფიციალურად აქვს დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების წესი“, რომელიც აღწერს გამოცდებთან, შეფასებასთან და გასაჩივრებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს. სტუდენტებს უფლება აქვთ, გაასაჩივრონ მიღებული შეფასებები
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • სტუდენტთა ხელშეკრულების ნიმუში; • სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაცები. • რეკომენდებულია, აკადემიამ მარეგულირებელი დოკუმენტები განათავსოს და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს აკადემიის ვებგვერდზე.
რჩევები: • სასურველია, გადაიხედოს სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება და ამოღებული იყოს ფინანსური ჯარიმების შესახებ ჩანაწერები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სტუდენტს სურს სხვა უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა ან პირადი მიზეზებით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
• სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. • უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. • უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. • უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიას შემუშავებული აქვს აკადემიური კონსულტირებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის შესაბამისი მექანიზმები. აღნიშნული ითვალისწინებს მომავალი სტუდენტების აკადემიური წარმატების ხელშეწყობასა და მათ შემდგომ ინტეგრაციას საგანმანათლებლო პროცესში. აკადემიის მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლა ადასტურებს, რომ არსებობს კონსულტაციების გაწევის მექანიზმები სასწავლო კურსების არჩევის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და აკადემიური პროგრესიის საკითხებთან დაკავშირებით. აკადემიას გაწერილი აქვს ნათელი პროცედურები, რათა მომავალ სტუდენტებს აღნიშნული სერვისების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს. ადმინისტრაციის განმარტებით, კარიერული მხარდაჭერის არსებული ჩარჩო შესაბამისობაშია დაწესებულების სპეციფიურ მისიასთან. სტრატეგია სათანადოდ არის ფოკუსირებული მიზნობრივ პროფესიულ განვითარებასა და პირდაპირ ინტეგრაციაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სტრუქტურაში. აკადემიის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის საჭიროებებზეა ორიენტირებული, სტუდენტთა კარიერული განვითარება პირდაპირ უკავშირდება შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში პროფესიულ ინტეგრაციას. შესაბამისად, კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები ნაკლებად არის

მიმართული შრომის ღია ბაზარზე არსებული ვაკანსიების იდენტიფიცირებასა და გავრცელებაზე და უფრო მეტად ფოკუსირებულია მიზნობრივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სისტემაში შესაბამის ინტეგრაციაზე. აღნიშნული გარემოების მიუხედავად, აკადემიას არ აქვს ფორმალური სტრუქტურული ერთეული, რომელიც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შესაბამისი კარიერული გზის არჩევაში დაეხმარება. აკადემია გეგმავს სტუდენტებისთვის მიზნობრივ საერთაშორისო და პროფესიულ-აკადემიურ პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობების შეთავაზებას. სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია მიზნობრივი საერთაშორისო თანამშრომლობის, პროექტებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში შეზღუდული იქნება. აკადემია ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართულობას კურიკულუმის გარეთ ექსტრაკურიკულარულ აქტივობებში, რომლებიც, აკადემიის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს როგორც ინტელექტუალურ-ანალიტიკურ საქმიანობას, ისე ფიზიკური და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს. აღნიშნული აქტივობებისთვის აკადემიას 2027 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს 125 000 ლარი, საიდანაც 20 000 ლარი გამოყოფილია ექსტრაკურიკულარული აქტივობებისთვის, ხოლო დარჩენილი თანხა კი კვლევისთვის. აკადემია ითვალისწინებს სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და უზრუნველყოფს მხარდაჭერის შესაბამისი მექანიზმების არსებობას. აღსანიშნავია, რომ როგორც სახელმწიფო დაწესებულებაში, სტუდენტთა სწავლის საფასური სრულად დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ.
მიუხედავად იმისა, რომ აკადემია ამჟამად საგანმანათლებლო საქმიანობას არ ახორციელებს, შესაბამისი პოლიტიკებისა და მექანიზმების არსებობა ადასტურებს დაწესებულების ინსტიტუციურ მზადყოფნას, დანერგოს მხარდაჭერის დარგის სპეციფიკაზე მორგებული და სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც ერთდროულად ხელს შეუწყობს აკადემიურ წარმატებას, პროფესიულ განვითარებასა და უსაფრთხოების სფეროსთვის საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას. ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებთან ძალიან კარგი კომუნიკაცია აქვს, თუმცა აღნიშნული ურთიერთობა ფორმალიზებული არ არის. აკადემიაში არ არის განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ან პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სტუდენტთა კარიერული განვითარების პროცესზე და სტუდენტისთვის პოტენციური დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • ორგანიზაციული სტრუქტურა; • სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები

• სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: •
რჩევები: • სასურველია, აკადემიაში შეიქმნას დასაქმებისა და კარიერული განვითარების სტრუქტურული ერთეული, ან შესაბამისი პასუხისმგებლობები გადანაწილდეს უკვე არსებულ ერთეულზე/პირზე.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
• უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. • სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. • უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

კვლევის სტრატეგია და პრიორიტეტები

2026-2031 წლების კვლევის განვითარების სტრატეგია შემუშავებული და დამტკიცებულია ინსტიტუციურ დონეზე, ხოლო სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კვლევითი მიმართულების განვითარებას. დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ დაწესებულებას წინასწარ აქვს იდენტიფიცირებული და დეკლარირებული კონკრეტული კვლევითი პრიორიტეტები და მიმართულებები, რომლებიც პირდაპირ პასუხობს სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორის მოთხოვნებსა და დაწესებულების უნიკალურ სპეციფიკას. კვლევითი სტრატეგია ეფუძნება ლოგიკურ ჩარჩოს, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული კვლევითი მიმართულებები, რაც სამეცნიერო პროცესს უფრო მიზნობრივს ხდის. რ

ინსტიტუციური შეზღუდვები და კონტექსტი

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიური ხასიათის გათვალისწინებით, დაწესებულებას მხოლოდ მიზნობრივი მიმართულებებით შეუძლია პროგრამების განხორციელება; შესაბამისად, ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. გარდა ამისა, სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და მოქმედი მკაცრი უსაფრთხოების რეჟიმის გათვალისწინებით, დაწესებულებას ობიექტურად შეზღუდული აქვს ღია, ფართომასშტაბიანი თანამშრომლობითი კვლევების განხორციელების შესაძლებლობა. თუმცა, მიზნობრივ ჯგუფებთან, კერძოდ პერსონალთან, ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს დაწესებულების მზადყოფნას, კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი არასაიდუმლო/ღია კვლევითი შედეგების საჯაროობასა და პოპულარიზაციას.

სამომავლო ხედვა და განხორციელება

აღნიშნული ფაქტორებისა და ინსტიტუციური შეზღუდვების მიუხედავად, ცალსახად ნათელია, რომ დაწესებულებას ნათლად განსაზღვრული ხედვა გააჩნია. მისი საქმიანობის ფარგლებში დაგეგმილია კომპლექსური კვლევითი აქტივობები, რაც სრულად შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიზნებს. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე კონკრეტული კვლევითი შედეგების შეფასება შეუძლებელია, ვინაიდან დაწესებულებას ჯერ არ დაუწყია ფუნქციონირება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ოფიციალური სტატუსით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2033;
- კვლევის განვითარების სტრატეგია (2026-2031)

- დაგეგმილი კვლევითი აქტივობების მიმართულებები
- კვლევის დაფინანსებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სახელმძღვანელო პრინციპები
- ბიუჯეტი
- სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი
- 2026-2029 წლების სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

კვლევის დაფინანსების სახელმძღვანელო პრინციპები და ადმინისტრირება

ინსტიტუციურ დონეზე შემუშავებულია „კვლევის დაფინანსებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სახელმძღვანელო პრინციპები“, რომლის მიზანია კვლევის დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების დანერგვა. ექსპერტთა შეფასებით, დოკუმენტის ზოგადი სულისკვეთება და მიზნები მისაღებია; თუმცა, მოქმედი რედაქცია საკმაოდ ზოგადია. კერძოდ, რეგულაციაში დეტალურად არ არის განსაზღვრული ის წინაპირობები, კრიტერიუმები და მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც აკადემიურ ან სამეცნიერო პერსონალს ინსტიტუციური დაფინანსების მოპოვება შეეძლება. შესაბამისად, ეფექტური ადმინისტრირების მიზნით, მიზანშეწონილია დოკუმენტის მეტად დაკონკრეტება და დეტალიზება.

ფინანსური რესურსების განაწილება და ბიუჯეტირება

დადებითად უნდა შეფასდეს კვლევითი მიმართულების ფინანსური უზრუნველყოფის მზარდი დინამიკა. 2027 წლის საპროგნოზო ბიუჯეტში კვლევის დაფინანსების მიზნით გამოყოფილია 125,000 ლარი. რაც შეეხება 2026 წლის ბიუჯეტში არსებულ მცირე ოდენობას (5,000 ლარი), ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების არგუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფისთვის სრულად ლოგიკური და მისაღებია: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებიდან საანგარიშო წლის დასრულებამდე დარჩენილი მოკლე პერიოდი პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის საგრანტო კონკურსების სრულყოფილად ადმინისტრირებას, დაფინანსების გაცემასა და მისი მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფას.

საერთაშორისო თანამშრომლობა და პრაქტიკული განხორციელება

დაწესებულებას მზად არის, აქტიურად ითანამშრომლოს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და კვლევით ცენტრებთან. ვინაიდან დაწესებულება უნივერსიტეტის სტატუსით ფუნქციონირებას ახლაღა იწყებს, ამ ეტაპზე ობიექტური თვალსაზრისით, არ არსებობს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კვლევითი პროექტების განხორციელებას დაადასტურებდა. დაწესებულების საქმიანობისა და აღნიშნული მიმართულებით დასახული მიზნების პრაქტიკული განხორციელების შეფასება შესაძლებელი მხოლოდ ინსტიტუციური შეფასების/მონიტორინგის შემდგომ ეტაპზე გახდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2033;
- კვლევის განვითარების სტრატეგია (2026-2031)
- დაგეგმილი კვლევითი აქტივობების მიმართულებები

- კვლევის დაფინანსებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სახელმძღვანელო პრინციპები
- სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი
- 2026-2029 წლების სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს კვლევის დაფინანსების მოცულობა, და მეტად დახვეწოს მარეგულირებელი ჩარჩო, მათ შორის „კვლევის დაფინანსებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სახელმძღვანელო პრინციპები'', რათა ნათლად განისაზღვროს ინსტიტუციური დაფინანსების მოპოვებისთვის საჭირო კონკრეტული წინაპირობები, გამჭვირვალე კრიტერიუმები და გრანტის ადმინისტრირების მექანიზმები.

რჩევები:

–

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა

ინსტიტუციურ დონეზე შემუშავებული და დამტკიცებულია „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი", რომელიც ეფუძნება ობიექტურ, ქულებზე დაფუძნებულ სარეიტინგო სისტემას. აღნიშნული რეგულაცია სავალდებულო წესით ვრცელდება აკადემიურ პერსონალზე: პროფესორებზე, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორებზე, ხოლო მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა ფასდება 5 ძირითადი კატეგორიის მიხედვით, რომელთაგანაც თითოეულს საქმიანობის შესრულების პირობების შესაბამისი კონკრეტული ქულობრივი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. აღნიშნული კატეგორიებია:

- სამეცნიერო პუბლიკაციები (A კატეგორია)
- კვლევითი პროექტები და გრანტები (B კატეგორია)
- კონფერენციები და სამეცნიერო ღონისძიებები (C კატეგორია)
- სტუდენტთა/მკვლევართა ხელმძღვანელობა (D კატეგორია)
- სამეცნიერო გავლენა და საზოგადოებრივი სამსახური (E კატეგორია)

შეფასების დონეები და შედეგების მართვა:

აკადემიური პერსონალის მიერ დაგროვებული სრული ქულების გათვალისწინებით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შეფასების შემდგომი დიფერენცირებული დონეები:

- A დონე (შესანიშნავი შედეგი) - 120 ქულა და მეტი, ექვემდებარება წახალისებას;
- B დონე (მაღალი შედეგი) - 90-დან 119 ქულის ჩათვლით, ასევე, ექვემდებარება წახალისებას;
- C დონე (საშუალო შედეგი) - 60-დან 89 ქულის ჩათვლით, ექვემდებარება წახალისებას;
- D დონე (მინიმალური შედეგი) - 30-დან 59 ქულის ჩათვლით, არ ექვემდებარება წახალისებას;
- E დონე (არადამაკმაყოფილებელი შედეგი) - 30 ქულაზე ნაკლები; სავალდებულოა პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება.

თანამდებობის შენარჩუნების კრიტერიუმები და ადმინისტრირება

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ დაწესებულებას დადგენილი აქვს მინიმალური წლიური ქულობრივი ზღვარი შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე, როგორც აღნიშნული თანამდებობების შენარჩუნების პირობა. კერძოდ, პროფესორისთვის სავალდებულოა მინიმუმ 60 ქულის, ასოცირებული პროფესორისთვის - 45 ქულის, ხოლო ასისტენტ-პროფესორისთვის - 30 ქულის დაგროვება.

წესი ასევე ნათლად განსაზღვრავს ანგარიშვალდებულების მექანიზმს: მინიმალური ქულობრივი ზღვრის მიუღწევლობა ზედიზედ ორი სასწავლო წლის განმავლობაში წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების არგანახლების, ანუ შეწყვეტის, ლეგიტიმურ საფუძველს.

გარდა ამისა, შეფასების პროცესს ახორციელებს რექტორის ბრძანებით სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კომისია, რაც სათანადოდ უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და შესაბამის ადმინისტრირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2033; • კვლევის განვითარების სტრატეგია (2026-2031) • დაგეგმილი კვლევითი აქტივობების მიმართულებები • კვლევის დაფინანსებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სახელმძღვანელო პრინციპები • სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი • 2026-2029 წლების სამოქმედო გეგმა • ინტერვიუები
რეკომენდაციები: –
რჩევები: –
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): –
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

• უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით

განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. • დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. • დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. • დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
აკადემიას გააჩნია მატერიალური რესურსები, რომლებიც საკმარისია დაგეგმილი საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. დაწესებულებას შექმნილი აქვს სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები, აუდიტორიები, საოფისე სივრცეები და დამხმარე ინფრასტრუქტურა, რომლებიც განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაესაუბრა დაწესებულების წარმომადგენლებს და ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. შეფასებამ დაადასტურა, რომ აკადემიას აქვს შესაბამისი ფიზიკური გარემო დაგეგმილი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. არსებული სივრცეები, ზოგადად, საკმარისია, დაგეგმილი სტუდენტური კონტინგენტის მისაღებად, ხოლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისას, ითვალისწინებს ხელმისაწვდომ ინფრასტრუქტურასა და ინსტიტუციურ რესურსებს. აკადემიას ასევე განსაზღვრული აქვს ინფრასტრუქტურის მოვლისა და განვითარების პროცედურები და რესურსების დაგეგმვა გათვალისწინებულია სტრატეგიული და ფინანსური დაგეგმვის პროცესებში. ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, გამოყოფილი საპროგნოზო ფინანსური რესურსები დამატებით უწყობს ხელს დაგეგმილი საგანმანათლებლო საქმიანობის მდგრადობას. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა, რომ ფიზიკური გარემოს გარკვეული ასპექტები, განსაკუთრებით, ხელმისაწვდომობასა და საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნასთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლოა შემდგომში კიდევ უფრო გაუმჯობესდეს, დაწესებულების უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებასა და გაფართოებასთან ერთად. თუმცა, აღნიშნული მიგნებები არ ახდენს გავლენას აკადემიის ამჟამინდელ შესაძლებლობაზე, განახორციელოს დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამები. საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ აკადემია ფლობს დაგეგმილი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსებს, რაც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;

- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ინფრასტრუქტურა და შესაბამისი დოკუმენტაცია:
- ბიზნეს უწყვეტობის გეგმა;
- გასაუბრებები მენეჯმენტთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ადგილზე ვიზიტის შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

აკადემიას შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო სერვისები და უზრუნველყოფს სასწავლო რესურსებზე წვდომას, რომლებიც ხელს უწყობს დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. ბიბლიოთეკა სთავაზობს როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ რესურსებს, მათ შორის შესაბამის ონლაინ მონაცემთა ბაზებსა და ციფრულ საინფორმაციო წყაროებზე წვდომას. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის რესურსების შეძენის, განახლებისა და უწყვეტი განვითარების მექანიზმები.

დაწესებულების სპეციფიური პროფილისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ბიბლიოთეკის არსებული რესურსები საკმარისია დაგეგმილი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის. აკადემიას ასევე გამოყოფილი აქვს ფინანსური რესურსები საბიბლიოთეკო ფონდის შემდგომი განვითარებისათვის და აჩვენებს მზაობას, უწყვეტად გააფართოოს სასწავლო

რესურსები პროგრამების განხორციელებისა და მომხმარებელთა საჭიროებების შესაბამისად. საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ აკადემია უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებს, რომლებიც საკმარისია დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამების მხარდასაჭერად და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. წიგნადი ფონდის უწყვეტი გამდიდრება თან უნდა გასდევდეს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის სამომავლო განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები; • ბიბლიოთეკის დებულება და საბიბლიოთეკო რესურსების სია; • გასაუბრებები მმართველ გუნდთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით პერსონალთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან და აკადემიურ პერსონალთან; • ადგილზე ვიზიტის შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
• უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. • ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. • უსდ უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას.

- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

აკადემიას შექმნილი აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც განკუთვნილია აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების მხარდასაჭერად. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, სასწავლო პროცესის მართვის სისტემისა და ელექტრონული ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის მხარდამჭერი ინსტიტუციური მექანიზმების არსებობა.

დაწესებულების სპეციფიური ხასიათისა და მისი საოპერაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, აკადემიას აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიები დაგეგმილი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. დაწესებულების წარმომადგენლებმა აჩვენეს, რომ ინფორმირებულები არიან საინფორმაციო უსაფრთხოების მოთხოვნების, მონაცემთა დაცვის ღონისძიებებისა და ინსტიტუციური საქმიანობის უწყვეტობის მხარდამჭერი პროცედურების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ აკადემიის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის გაფართოების პარალელურად, სასწავლო პროცესის მართვის სისტემის შემდგომი განვითარება და საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების უწყვეტი გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სწავლების, სწავლისა და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურ მხარდაჭერას. ანალოგიურად, IT მმართველობის, რისკების მართვის პროცედურების, სარეზერვო ასლების შექმნისა და ბიზნესუწყვეტობის მექანიზმების შემდგომი განვითარება კიდევ უფრო გააძლიერებს ინსტიტუციურ მედეგობას და ხელს შეუწყობს სამომავლო ორგანიზაციულ ზრდას.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ აკადემიას გააჩნია საინფორმაციო რესურსები, რომლებიც სათანადოა დაგეგმილი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დოკუმენტაცია;
- გასაუბრება უნივერსიტეტის პერსონალთან;
- ადგილზე ვიზიტის შედეგები.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ გაზარდოს ინვესტიცია ელექტრონული სასწავლო რესურსების, მონაცემთა ბაზებისა და სხვა ციფრული სერვისების მიმართულებით, სასწავლო და კვლევითი საქმიანობის მეტად მხარდაჭერის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, აკადემია სარგებლობს სტაბილური სახელმწიფო დაფინანსებით და შემუშავებული აქვს საპროგნოზო ფინანსური გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია მისი სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებთან. წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციით დასტურდება, რომ საკმარისი რესურსებია გამოყოფილი პერსონალის, ინფრასტრუქტურის, კვლევითი საქმიანობის, აკადემიური მობილობის, ბიბლიოთეკის განვითარებისა და მოწვეული აკადემიური პერსონალის მხარდასაჭერად. საპროგნოზო ბიუჯეტი ასევე მოიცავს კვლევითი საქმიანობის, შიდა საგრანტო სქემების, წიგნადი ფონდის შევსებისა და აკადემიური განვითარების მიზნობრივ დაფინანსებას, რაც ადასტურებს დაწესებულების მზადყოფნას, წარმატებით განახორციელოს დაგეგმილი საგანმანათლებლო საქმიანობა.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ აკადემიას გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსები დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად და სტრატეგიული მიზნების მხარდასაჭერად. საპროგნოზო ფინანსური გეგმა ასახავს ნათელ კავშირს ინსტიტუციურ პრიორიტეტებსა და რესურსების განაწილებას შორის, ხოლო სტაბილური სახელმწიფო დაფინანსება დაწესებულების გრძელვადიანი მდგრადობის სანდო საფუძველს ქმნის.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების მიმართულებით აკადემიის საქმიანობის განვითარების პარალელურად, მეტად უნდა დაიხვეწოს

შიდა ფინანსური მონიტორინგის, აუდიტის პროცედურებისა და რისკების მართვის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ინსტიტუციური მმართველობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტური ფინანსური მართვის გაძლიერებას. საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ აკადემიას საკმარისი და მდგრადი ფინანსური რესურსები გააჩნია დაგეგმილი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მხარდასაჭერად და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ✓ თვითშეფასების ანგარიში; ✓ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები; ✓ 2027 წლის ფინანსური გეგმა; ✓ გასაუბრებები მმართველ გუნდთან, აკადემიურ პერსონალთან, საფინანსო დეპარტამენტისა და აუდიტის სამსახურის პერსონალთან.
რეკომენდაციები: –
რჩევები: - სასურველია, აკადემიამ გააძლიეროს კავშირები სტრატეგიულ მიზნებს, შესრულების ინდიკატორებსა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესებს შორის, რათა მხარი დაუჭიროს რესურსების მტკიცებულებაზე დაფუძნებულ გადანაწილებას.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): –
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან